





ნაგენი. იანვრის 18. ცნობილი პუბლიცისტი სტეფანი „ტარაკა“-ში ათავსებს წერილს, რომელშიც აფრთხილებს საფრანგეთს მის „ზნელ“-ში მილიტარისტულ პოლიტიკის საფრთხისაგან. ლონდონის სხვა გაზეთები და აგრეთვე „ბერლინერ ტაგებლატი“ სტეფანის წერილში ხედავენ ლოდ ჯორჯის შეხედულების ანარქულს, რომელიც ჰუანკარესთან შეხვედრის შედეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საფრანგეთის პოლიტიკა ინგლისს უფრო ათქმევინებს საფრანგეთისადმი ყოველნაირ სამხედრო დახმარების აღმოჩენაზე. შესაძლებელია შეიქნეს ისეთი მდგომარეობა, რომ საფრანგეთი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით დაჩრდის გარკვეული ევროპის ყველა სამხელმწიფოებისაგან.

ზორდო. იანვ. 16. ბერლინის პრესამ დაწვეული თავსებებით მიიღო ცნობა ვადის გაგრძელების შესახებ, რომელიც მისცეს გერმანიის კონტრიბუციის გადამხდელად. გაზეთები აღიარებენ, რომ ვადის გაგრძელების პირობები, რომელიც მისცეს გერმანიას, სრულიად აკმაყოფილებენ მის მოახლოვნილებებს და ეგუება გერმანიის მიერ გადახდის შესაძლებლობას.

ნაფუნია. იანვ. 16. იანვრის 19-თვის დანიშნულია რეისსტაგის მოწვევა. რეისსტაგის ფრაქცია განიხილავს კონტრიბუციის საკითხს.

ნაფუნია. იანვ. 16. გერმანიისადმი მიცემული მორატორიუმი ფორმალურად იწყება იანვრის 18-დან. გერმანიის ვალდებულება საჩქაროდ წარადგინოს 1922 წელს ვადის პროგრამა, საჩქაროდ წარადგინოს თავის ფინანსური აპარატის რეორგანიზაციის პროექტი, ცნობის თავის შეხედულება შემოავადის და გასაღდის მარჯობისადმი და ქალაქის ფულით ემპიის შესახებ. მიცემული ვადის გაგრძელება ეთანხმება გერმანიის წინადადებებს. უპაღდეს სბპოს წინადადება განხილულ იქნება

გერმანიის მთავრობის მახლობელ სხდომაზე.

რატინაუმ საფრანგეთის პრესის წარმომადგენელთან საუბრის დროს გამოთქვა იმედი, გერმანიისა და მოკავშირეთა შორის დამოკიდებულების გაუმჯობესების შესახებ.

რატინაუმ აზრობს, კანის მოლაპარაკებამ დიდი სარგებლობა მოიტანა მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის მთავრობის კრიზისმა ძლიერ მიიწვე გავლენიქონია ამ მოლაპარაკებათა საბოლოო შედეგებზე.

ბერლინის პრესა პესიმისტურად აფასებს საფრანგეთის კამინეთის შეცვლას და ეხება პუანკარეს, როგორც გერმანიის მტერს და მოძალადე პოლიტიკის წარმომადგენელს. ზოგიერთი გაზეთი ელიან საფრანგეთში მთავრობის შეცვლისაგან უღიღეს. საფრანგეთს გერმანიისთვის „ლოკალ ანკვირები“ ანაშნავს, რომ პარიზი ფიქრობს ხელი შეუშალოს ევროპის სამხელმწიფოების მშვიდობიანი პოლიტიკის გატარებას. არსებითად გერმანიისათვის თითქმის სულ ერთია საფრანგეთის მთავრობის ახალი შედგენილება პოლიტიკური მიმართულებით, რადგანაც უდავოა, რომ საფრანგეთი ჯერ კიდევ შორსაა იმ აზრიდან, რომ მისცეს გერმანიას თავისუფალი სუნთქვის და განვითარების საშუალება. გაზეთი „ფოსტე ცვიტუნგი“ აღნიშნავს საფრანგეთის შოვინისტურ პოლიტიკის დამტკველობას. „ბერლინერ ტაგებლატი“ აზრობს ევროპის აღდგენის საქმე კიდევ იდგება სხვა დროისთვის. „როტე ფანეს“ სიტყვით ეხლა ვიღუე ოდესმე დადგა დრო საფრანგეთის პარლემენტარიატის გამოსვლისათვის.

დაწვეუებული მეზღვე ელენე იანეს ასულა ინჟირველისა შეკლებით აუწყებს ნათესავებსა და ნაცნობთ, რომ სოფელ ზახვი (გურია) ხანმოკლე ავადმყრობის შემდეგ გარდაიცვალა პოლკოვნიკი

## ბიკგორ ნიკოლოზის ქე ინჟირველი

დასაფლავება იანვრის 22-ს სოფ. ფამფალეთის ეკლესიის გალავანში. 184

მამა ოტია და ნატალია ლორთქიფანიძეები აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს, რომ იანვრის 20-ს გარდაიცვალა მათი დაუფრყარი შვილი

## შურიაკი

პანაშვილი კვირას, იანვრის 22-ს ნაშუადღევს 1 საათზე, სამხედრო სობოროში. 185

### ბათუმის ნავთსადგურის მოქმედება 1921 წლის დეკემბერში

აღნიშნული თვის განმავლობაში, თანხმად ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიმოსვლის და ურთიერთ დამოკიდებულების სტატისტიკის განყოფილების ცნობებისა, რომელიც თავის მხრივ საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს მიერ ნავთსადგურებიდან მიღებულ დებუშენს ემყარება—მათი შის ნავთსადგურში შემოსულა სულ 157 სხვა და სხვა ტიპის გემი (ორთელქმედი იალქნიანი, ფელიუგა და სხვა.) მათ შორის 144 გემი ყოფილა ტვირთით, ხოლო 13-კი უტვირთოთ; რაც შეეხება გასულ გემთა რაოდენობას, მისი რიცხვი ოდნავ აღემატება მოსულ გემთა რიცხვს—უდრის 162; მათ შორის 158 გემი ყოფილა ტვირთით, ხოლო 4-კი უტვირთოთ.

შემოტანილ უმთავრეს სავაჭარო ნივთსადგურებს მიხედვით შემდგენილ რაოდენობაზე 681 ათ. ფუტს უდრის. მას მისდევდა ფქვილი 268 ათ. ფუთი და დანარჩენი რაოდენობა კი დაუსახელებელ სავაჭარო ნივთსადგურებს მიხედვით. რაც შეეხება გატანას, ქე პირველ რიგზე სდგას ნავთი—398 ათ. ფუთი, შემდეგ მოსდევნობა—8,235 ფ., მანქანის ზეთი—4,500 ფ., მარალი—2,225 ფ., ლიმონი—300 ფ. და სხვა დაუსახელებელი საქონელი.

ეროვნული დროშების მიხედვით გემთა აღნიშნული რაოდენობა შემდგენილად ნაწილდება:

დ რ ო შ ე ბ ი	მოვიდა	წავიდა
ამერიკული	—	1
ბერძნული	—	1
პოლანდელი	1	1
იტალიანური	12	6
ინგლისური	6	—
რუსული	5	2
ოსმალური	2	4
ფრანგული	1	—
ქართული	2	2
ჩინური	1	1
დაუსახელებელი	127	141
	სულ. 157	162

ამანიჩათ, მოსულ და წასულ გემთა უდიდესი ნაწილის ეროვნული დროშა არ არის ნაჩვენები ნავთსადგურის მიერ წარმოდგენილ ცნობებში. დაუსახელებელ დროშის ქვეშ მყოფ გემთა რაოდენობა თუცა დიდია, მაგრამ მათი წყალმყვან ძალიან მცირეა და არც დიდ როლს თამაშობენ, შედარებით დასახელებულ დროშის გემების მოქმედებასთან. ისინი არიან ისეთი მცირე ტიპის გემები, როგორც არის იალქნიანი, ფელიუგები და სხვა. ეროვნულ დროშების მიხედვით ისინი ეკუთვნიან ქართულს, ოსმალურს და რუსულს, რაც შეეხება ეროვნულ დროშა ნაჩვენებ გემებს, როგორც ცხრილიდან სჩანს თავისი რაოდენობით მათ შორის იტალიანურ დროშას პირველი ადგილი უჭირავს, როგორც მოსულ გემებში (12), აგრეთვე წასულთა რიცხვში (6); იტალიანურ დროშას მოსდევს ინგლისური, რუსული და სხვა.

თვის განმავლობაში ნავთსადგურში შემოტანილი იყო 2,173,397 ფუთი საქონელი, ხოლო გატანილი—873,362 ფ., ამანიჩათ შემოტანილი საქონელი 1,800,085 ფ. აღემატება გატანილ საქონელს.

გატანალი საქონელი დანიშნულების ნავთსადგურების მიხედვით შემდგენილად ნაწილდება ათას ფუთით: სტამბოლში—389, კუნძულ მალტაზე—384, ოდესში—38, ტრაპიზონში—9, სოხუში—1, ფოთში—0,6 და დანარჩენი სხვა დაუსახელებელ სადგურებში. თუ როგორ ნაწილდება შემოტანილი საქონელი შემოტანილ ნავთსადგურების მიხედვით, მისი შესახებ თუცა მასალებში ცნობის ვერ ვნახულათ, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, დიდი ტიპის გემების ეროვნულ დროშების კუთვნილების მიხედვით განაწილების საფუძველზე, რომ შემოტანილ საქონლის უდიდესი ნაწილს გამოძახების ნავთსადგური არის სტამბოლი.

დეკემბრის განმავლობაში ნავთსადგურების საქართველოში შემოსულა სულ 5,034 მგზავრი, გასულა კი—1519, ამანიჩათ, შემოსულთა რიცხვი 3515 მგზავრით აღემატება გასულთა რიცხვს.

ბათუმისადგურის მგზავრები დანიშნულების ნავთსადგურების მიხედვით ასე ნაწილდებიან: სტამბოლში—646, ოდესში—540, ტრაპიზონში—280, სოხუში—49 და ფოთში—4.

თუ მოყვანილ ცნობებს დაუპირდაპირებთ ნოემბრის თვის ბათუმ-ფოთის ნავთსადგურების სათანადო ცნობებს დავინახავთ, რომ მოსულ გემების რიცხვს უმატია 10-ით (ნოემბერში იყო 147), წასულთა კი 34 (იყო 128); ნოემბერთან შედარებით დეკემბერში—1,491,466 ფ. მეტი საქონელი შემოტანილია (ნოემბერში შემოიტანეს—681,981 ფუთი), ხოლო გატანით კი 86,600 ფ. მეტი (გატანილი იყო—780,762 ფ.) მატებია აგრეთვე მგზავრთა შემოსვლა. ნოემბერთან შედარებით დეკემბერში 8491 მგზავრით მეტი არის შემოსული (ნოემბერში—1543); რაც შეეხება გასულ მგზავრთა რიცხვს მას 1450 უკლებია ნოემბერთან შედარებით (იყო ნოემბერში—2,969).

როგორც ამ მცირე შედარებიდან სჩანს (ნავთსადგურების წარსული წლის დაწვრილებითი ანგარიში იხილეთ „სტატისტიკის მოამბეში“) დეკემბრის თვის განმავლობაში, როგორც გემთა მიძრაობა, აგრეთვე საქონლის და მგზავრების მიმოსვლა შედარებით ნოემბერთან და ზოგიერთა წინა თვეებთან შედარებით არის გაზრდილი.

თუთი შემოტანილ-გატანილ საქონლის მატების ტენდენცია დიდთ განსხვავდება ერთმანეთისაგან; შემოტანილი საქონლის ზრდის სისწრაფე უფრო

ინტენსიურია, ვიდრე ნოემბერში გატანილ საქონლის ზრდისა.

ფოთის ნავთსადგურის მოქმედება 1921 წელს

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიმოსვლისა და ურთიერთ დამოკიდებულების სტატ. განვ. ცნობებით, თვის განმავლობაში საზღვარ გარეთან შემოტანილი იყო 293,036 ფ. სხვა და სხვა საქონელი. ამ რაოდენობიდან ხორბლის ფქვილზე მოდის 262,255 ფ. ჩიჩი—30,765 ფ. და დანარჩენი სხვა და სხვა საქონელი; შემოტანილი საქონლის საერთო ღირებულება ოქტ. ვალუტაზე (10 მან.) გადატანილია ფუტისა და სხვა ნივთებით 32,374 მან. რაც შეეხება გატანას, ამ ნივთსადგურში არავითარი საქონელი არ არის საზღვარგარეთ ტანილი. გარდა ამისა კომბინათ არის გატანილი სულ 52,222 ფ. საქონელი. ამ რაოდენობიდან ბათუმში გატანილია 100 ფ. რკინის ბორკები, სოხუში 7 ბ. არხის ფქვილი 5,400 ფ. და მანქანის ნაწილები 362 ფ. ნოვაროსისკა გატანილია ჩიჩინური—31,359 ფ. და 15001 ფ. მარგანეტი. რაც შეეხება კომბინათ შემოტანას, მისი საერთო ჯამი უდრის—1498 ფ. ამ რაოდენობიდან ბათუმისადგურში შემოტანილია—72 ფ. ბენზინი და დ. ნარჩენი კოსუმებიდან, ბათუმის პარკა—44 ფ. 28 გირ. და სხვა.

### დადგენილება № 129

საქართველოს სოც. სამხ. რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეისა.

ბოროტმოქმედთა აღმოჩენ პირების დაჯილდოვების შესახებ.

რათა წახალისებულ იქნენ ის პირნი, რომელნიც ებრძვიან ბოროტმოქმედებს და გამოიჩინენ ნერვოზს ბოროტმოქმედთა და ბოროტმოქმედებით ნაშენი ნივთების აღმოჩენისა და ვის, საქართველოს სოც. სამხ. რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტი ადგენს:

1. ის პირი, რომელიც აღმოაჩენს ბოროტმოქმედს და ბოროტმოქმედებით ნაშენი ნივთებს, მიიღებს ჯილდოს, —საქართველოს რესპუბლიკის მილიციის უფროსისა, ან სისხლის სამართლის ძიების ცენტრალური განყოფილების გამგისა, ან და მზრის მილიციის უფროსისა წარადგენთ; ჯილდოთა რაოდენობას განსაზღვრავს და დამტკიცებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი საქმის სირთულისა, მისი მნიშვნელობისა და იმ ნერვოზის მიხედვით, რომელსაც აღნიშნული პირი გამოიჩინა.

ჯილდო გაცემისა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის განკარგულებაში გადადებულ განსაკუთრებული ფონდიდან.

2. ბოროტმოქმედთა და ბოროტმოქმედებით ნაშენი ნივთის აღმოჩენ პირად ჩითვლება ია ვინც ან ხელმძღვანელობს გამოძიების წარმოებაში ან თითოე აწარმოებს გამოძიებას და აღმოაჩენს ბოროტმოქმედს და ბოროტმოქმედებით ნაშენი ნივთებს, ან და ის პირი, ვინც გამოძიების წარმოებაში მონაწილეობას არ იღებს, მაგრამ უჩვენებს ნამდვილ დამნაშავეს და ბოროტმოქმედებით ნაშენი ნივთებს.

3. დადგენილება ეცე ქალაქში შედის ღირსეულობის გამოძიებისა.

საქართველოს სოც. სამხ. რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტის თამბჯლომების მოადგილე ს. ქავთარაძე. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვიციანი.

რევოლუციური კომიტეტის მდივანი ად. ხალაჩიძე.

1922 წ. იანვრის 10.

ტფილისი—სასახლე.

### პარტიაში

კვირას, იანვრის 22 ს. დღის 12 საათზე, „ტარიხის“ რედაქციაში დაინიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა.

რედაქციაში—სარედაქციო კალენდარი გამოცემული— მთავარი კომიტეტი.

### პატარა ფელეტონი

#### ჯიშიალა

ფუტურისტი არა ვარ, არც აკაკი, ილია; მაგრამ ჩემი მუხითაც ტანჯვა ბევრი მივლია. პაოლოს ვერ დავიკრძევე, ამ სახელსა დიდადსა, სავანელიც ავიღო, ვერ გავფანტავ წყვილიდასა. დიდ გრიგოლსა ვინ ჰკადრებს კუხის შეთავაზებას! კიევში, რომ ჩავიდეს თავს უწოდებს მაზეპას. ტიციანის სიბრძნეში ჩემი მუხის ზმანება, ღომიკით რომ შეიქრას, კატას დამეგვანება. მალვა კარმელს, ცეცხლადეს, ნადირაძე კოლასა ჯერ მგოსნობას არ ურჩევ, ურჩევ კოლის კოლასა. გვეტაძეს და ვალერის გაფრინდა შვილს დიდებულს ახლოს ყოფნას ვუსურვებ ცახე ჩამოკიდებულს. ონისიმე, კოდოსა, ეშმაკსა და თავუნას, ჩემი გულის ძეგობრებს, ღმერთმა შეგება არგუნოს. ვერ დაანზობს მათ მუხას ვერც ქარი, ვერც ნიაფი, ვერც ქაჯეთის სხივი და ვერც სამოთხის სიავე. მათი გული მუდამ კენეს ხალხის მედგარ გმირებზე ბრძოლის სისხლი მუდამ სჩქევს მათ უბიწო პირებზე. მათთვის ყველა ეოთია მაკრინე, თუ სოფია, თუ ვინდ გამასხურდიას მშრალი ფილოსოფია, გოგონისა მუხა კი ღვინოს არ სვამს, არ ლოთობს, მაგრამ მგოსნად ქცევასა მგონი ტყვილად ხლოფოთობს. ოაოლ მუშას, ქუჩი მივლს, რუხაძეს და აბაშელს— აბა რამეს ვინ კადრებს, ვინ თხოვს ტანჯვას ან საშველს. წყრენ ლეკებს, ხან არა, როგორც მოეპრიანოს, აუღლეოებენ თავის ქნარს ხან „ფორტე“ ხან „პიანო“-ს აღლო კარგი მიღეს, ხალხთან ახლო არიან, მაგრამ ბევრსა ვერ სწყრენ (შიმშილობა მწარეა). ბატონებო! მე დამჩრა ახლა ერთი მგოსანი, ჩემი გულის ოტელო, ანგელოზი ფრთოსანი, არ გაუკიცხავ ძე იმას, ჩემი მეგობარია. იმის სახელს ვინ არ სცნობს ზეცა, მთა და ბარია. მეგობრობა ჩემსა გვაქვს არმიოების მადლაში ისე, ვითა ქარაქი გამოძევაბარი ქალაში. სახელს მისას არ ვიტყვი—ალარც გვარს შეგებები, ახოლოდ მისი ღმერთია—კონა, ქალის ფეხები. ვიცო ბევრი გამოძრჩა აქ მგოსანთა გუნდები, მაგრამ ლეკს ვერ ვანვაგრძობ, უცბად გამოვხუნდები. ჯერ ჯერობით ეს იყოს და სხვას ვიტყვი სხვა დროსა, მგონი წყენა ამისთვის არავინ იკადროს. და ამ მედგარ ბრძოლაში ახლა თუ გამოვძევრი გეფიცებით პაოლოს ვიქნე კურო, მოზვერი.

ტრა... დიცია.